№ 139 ივლისი 5, სამშაბათი 1888 ივლისი 5, სამშაბათი № 139


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**გაზეთი „ივერია“ პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.**

ტფილისი, 4 ივლისი

მართალია, საქართველოს დედა-ქალაქს ტფილისს ეტყობა მზრუნველი ხელი ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში: უმშვენდება და უკანიერდება ქუჩები, უშენდება ხიდები, უკეთდება და უფართოვდება ცხენის რკინის გზები, აგერ სუფთა წყალიც გაატარეს თითქმის ყოველ დიდსა და დასახლებულს ქუჩებზე, იმედია, ჩქარა ელექტრონითაც გაგვინათებენ ჩვენს ქალაქსა და, თუ აბანოებიც ისე მოაწყეს, როგორც განზრახვა აქვსთ, მაშინ ჩვენც შევიძლიან სამართლიანად დავიტრაბახოთ, რომ რიგიანსა და განწყობილს ქალაქში ვსცხოვრობთო. მაგრამ, როდესაც უყურებთ ამოდენა საქმეს და თანაც ანგარიშობთ იმ უშველებელს ხარჯს, რომელიც ყოველსავე ამას უნდება, ერთი გარემოება მეტად გაგვკვირვებთ და განცვიფრებთ ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობის მოქმედებაში. თქვენა ჰხედავთ, რომ ასი ათასი თუმნები ქალაქის ფული მიდის ფრიად კარგ საგნებზე, რომელთა გაკეთება და გამართვა ჩვენს ტფილისს ცოტათი მაინც დაუახლოვებს ევროპიელ ქალაქებს, სადაც ეცხოვრებოდა კაცს სუფთად, ლაზათიანად და შეძლებისამებრ შეუწუხებლივ, ხოლო დაგვეთანხმებით, რომ რიგიანად განწყობილ ქალაქისათვის უპირველესი საგანი უნდა იყოს სუფთა და საღი ჰაერი. რაც გინდ გაამშვენიეროთ ქალაქი, რაც გინდ ჩინებულს გეგმაზე გაამწკრიოთ სახლები და გაიყვანოთ ქუჩები, რაც გინდ ბევრი სხვა სიკეთე შეჰმატოთ, თუ ქალაქს აკლია ჯან-მთელი და სუფთა ჰაერი, ასეთს ქალაქში ცხოვრება არავისთვის არ იქნება სანუკარი და ვერც მაგდენად მოიმხრობს ქალაქი უცხო ხალხსა.

ამ მხრივ ჩვენი ტფილისი ძალიან უკარაა ჩამორჩენილი და საკვირველიც ეს არის, რომ ჩვენის ქალაქის გამგეთ არ ეტყობათ შესაფერი მზრუნველობა ჰაერის გაკეთებისა. ზამთარი გინდათ თუ ზაფხული, ერთი-კი ამოვარდეს ქარი, და გარედ აღარ გამოგესვლებათ—ქარს მოაქვს ტფილისში მტვრის კორიანტელი არა მარტო ქალაქის დაცემულ მიდამოებისაგან, არამედ თვით მთაწმინდის ქედიდამაც-კი გადმოაქვს მტვერი და ბუქი, თითქო საკუთარის ქუჩების ვაივაგლახი არა კმაროდეს საცოდავ მცხოვრებთათვის.

ამისი მიზეზი ის არის, რომ თვალ-მიუწვდენელს მანძილზე ტფილისის მიდამო მოტიტვლებულია ისე, რომ რამდენსამე ვ რსზე თვალს ვერ მოჰკრავთ არა თუ მოზრდილს ხესა, უბრალო ბუჩქებსაც-კია, იმ დროს, როდესაც ყველგან პირველი ლაზათი და შნო ქალაქისა არის ტყე, და ჰაერის სიმრთელეც ემთავრესად დამოკიდებულია, მეტადრე ჩვენისთანა თბილს ქვეყნებში, ტყის სიმრავლეზე.

კიდევ ეს არის საკვირველი ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობის მოქმედებაში, რომ ვინ იცის როგორი საძნელო საქმეს არ შეეჭიდნენ და ამ საგნისათვის-კი ჯერ თითქმის ყურიც არ უთხოვებიათ. ჩვენის აზრით, ძალიან კაი საქმეა ქალაქის ნაწილთა შემაერთებელი ხიდები, რომელიც უახლოვებს ხალხს ერთმანეთსა და აცხოვლებს მისვლა-მოსვლას, აადვილებს აღებ-მიცემობას, ძალიან კარგი რამ არის სუფთა წყლის სმა, ნაცვლად მოშხამულის წყლისა, რომელშიაც ჩადის ათას გვარი სიბილწე და სიმყრალე, ქუჩების განათებაც კარგი რამ არის, მაგრამ ჰაერის სიმრთელეს-კი არა შეედრება-რა. წყალსაც მოევლება როგორმე და ქუჩებზედაც მოახერხებს კაცი გავლას, ოღონდ ინაღვლეთ იმის ფილტვების სიკეთეზე, ოღონდ ნუ ასუნთქებინებთ იმისთანა ჰაერს, რომელსაც ერთის კაცის მეცადინეობით არა ეშველება-რა, არსაიდამ მოევლება. აბა, ჰაერის სისაძაგლეს სად გაექცევი, თუ ტფილისში ცხოვრებას გაძალებს შენი საკუთარი გარემოება.

მით უმეტეს ჩაეთვლება ჩვენს თვით-მმართველობას დაუდევრობაში, რომ ტყეების გაშენება ტფილისის მიდამოში სრულებითაც ისეთი ძნელი საქმე არ არის, რომ ვერ შესწვდეს ქალაქის ჯიბე. პირ-იქით, რაც ქალაქს ხარჯი გაუწევია ტფილისის დაშვენებაზე, იმის მეასედი ნაწილიც სრულებით საკმარისი იქნებოდა, რომ ქალაქს ჰქონოდა დღეს საკუთარი და კარგა ბარაქიანი ტყეები.

ქალაქის ქუჩების დასაგველად ასამდე წლიური კაცი ჰყავს ჩვენს თვით-მმართველობას დაქირავებული, თანაც ეს ჯამაგირი დაუბრუნებლივ მიდის ქალაქის ჯიბიდამ და ნუ თუ შეუძლებელი იქნებოდა წელიწადში ოცი მუშა კაცი დაექირავებინა და შესდგომოდა ტყეების გაშენებას თავის მამულებზე, როდესაც ამ საქმეში დახარჯული ფული ერთი ასად და ათასად დაუბრუნდებოდა ქალაქისავე კასას რამდენისამე წლის განმავლობაში?

მაგრამ შემდეგ მოვილაპარაკებთ, რამდენად საადვილო და სასარგებლოა ქალაქისათვის გაშენება ტყეებისა ტფილისის მიდამოში. თ—ძე

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ინგლისელი მეცნიერი-ფილოლოგი, ბ-ნი მორფილი, რომელიც ამას წინად კავკასიაში მოგზაურობდა, სწერს თხზულებას საქართველოსა და ქართულის მწერლობის თაობაზე.

*** გამოვიდა ცალკე წიგნად „მამიდა ასმათი“, მოთხრობა გ. წერეთლისა, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა. წიგნი ეხლავე დაურიგდება გასასყიდად წიგნის მაღაზიებს.

*** წარსულს შაბათსა და კვირას შუაღამით გაუცარცვავთ ფოსტა ბაქოს რკინის გზაზე, პოილოსა და ალსტაფას შუა. სულ წაუღიათ ექვსი ათას მანეთამდე. აი, საქმე როგორ ყოფილა: ერთი „ჩემოდანი“, რომელშიაც მოპარული ფული ყოფილა, ბარგის ვაგონში შეუნახავთ, რადგანაც ფოსტის ვაგონში ადგილი არა ჰქონიათ. ავაზაკებს ეს ჩამადანი და სხვებიც გაუქრიათ. პოილოს სადგურზე ფოსტა დაუთვალიერებიათ და ეს ჩემოდანი მაშინ ხელ-უხლებელი ყოფილა. მთავრობამ რა წამსაც გაიგო ეს ამბავი, იმ წამსვე წავიდა ალსტაფაში. როგორც ამბობენ, დაუტუსაღებიათ ორი ფოსტის მოხელე, რომელნიც ფოსტას თან ახლდნენ, და კიდევ სამი კაცი, რომლებზედაც ეჭვი აუღიათ.

*** ტფილისში მცხოვრებმა ფრანგებმა შაბათს საღამოს გადაიხადეს ევროპის ბაღში საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული. დამსწრეთა საღამო ძალიან მხიარულად გაატარეს. საფრანგეთის კონსულმა ეშენმა დალია სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა; იმანვე ადღეგრძელა ფრანგების ტფილისელი კოლონია. ვახშმის შემდეგ კოლონიამ გაუგზავნა დეპეშა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ მოუვიდა თხუთმეტი მანეთი (15 მან.), შეგროვილი ქვემო მაჩხაანში, ქიზიყში, გამართულის წარმოდგენიდამ.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უცხადებს საქმის მოთავეთა.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს ბ-ნმა ა. ხახანაშვილმა შემოსწირა შემდეგი წიგნები, რომელიც იმას ყიზლარის ახლო ქართველთ სოფლებ-

## ფელეტონი

### თორნიკეს დარდი

(სტუდენტის ძველის დავთრიდამ)

ზაფხული იწურება. მოაწია გიმნაზიაში ახლად კურს-შესრულებულებისათვის რუსეთისაკენ გამგზავრების დრომ. მომავალს სტუდენტებს სიხარულით უცემსთ გული. იმათი მშობლები იმედით და თან რაღაც შიშითა და ეჭვით შეჰყურებენ შვილების მერმისსა და ბედს. ვაი თუ აჰყვეს—ფიქრობენ ისინი—ჩვენი კოწია სხვების ფეხის ხმას, გასულელდეს, დაიღუპოს თავი და ჩვენც დაგვკლას და დაგვანელოსო... „რა ვიცი, შენი ჭირიმე,—განა ვერა ხედავთ, რა დროა!..“ ფიქრობენ ჩვენი ქეთევანებ-თორნიკეები და არიან ერთს ფაცა-ფუცში.

მშვენიერი დღეა. მზე უხვად ისვრის ზეციდამ სხივებს. ქ—ის ბაღი სავსეა მოსეირე ხალხით. დიდი ხანია, რაც მე და თორნიკე ვზივართ ერთს ბაღის კუნჭულში და ტკბილად შევექცევით აღუშფოთებელს მუსაიფს. ვატყობ, რომ თორნიკე დღეს ჩვეულებრივზე უფრო ტკბილია, გადამეტებით ტკბილი, თითქო მეფერებაო.

— ვერ გამიგია, რა გინდათ, რას ატეხილხართ სამგლე ტახივით! თქვენ ვინ გკითხავსთ, ან ქე რა იცით, რომ გკითხონ!—ამბობდა ჩემი თორნიკე და შლიდა გაკვირვებით ხელებს: ჯერ ისწავლეთ, ბატონო, ი რაღაც დიპლომია, მიიღეთ, კაცი გამოდით, მშობლების გული გაახარეთ, ჩვენ შეგვეწიეთ და მერე... მერე ვნახავთ, რა კაცებიც ხართ... ევება ჩვენც დაგიჯეროთ...

არ ვიცი, როდემდის გაგრძელდებოდა თორნიკეს ამ გვარი აღტაცებული ქადაგება, რომ სიტყვა არ გამეწყვეტინებინა და ჩემის მხრით მეც არ დამეწყო:

— რაზედ ბძანებთ ამას, ბატონო? ვერც მე გამიგია, მართალი მოგახსენოთ! ვინ რას ატეხილა, ვინ რას თხოულობს, ვინ არის დიპლომის წინააღმდეგი, ვის არ უნდა დედის გახარება... არ მესმის!

— ვინ არის და თქვენ, სტუდენტები!.. ჰო, შენზე-კი არ ვამბობ,—შენ, ვიცი, ჭკვიანი ყმაწვილი ხარ, ჩემო გოგიტავ,—ისე, საერთოდ... რაც ამბავია, რაც ხდება, სულ თქვენი ბრალია თურმე: აღარც უფროსი გწამსთ, აღარც ნათესაობა, აღარც ღმერთი, აღარც .. შიშით მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით თორნიკემ და ველარ დაათავა მეტის-მეტის აღელვებისაგან.

დამავიწყდა მეთქვა, რომ მე, როგორც სტუდენტი, საზაფხულოდ ვიყავი სამშობლოში ჩამოსული.

თუმცა თორნიკემ ჯერ გამომწირა დანარჩენ სტუდენტობისაგან, ვითარცა ჭკვიანი, და მას უკან შეამკო ასე მწარედ და დაუნდობელად სტუდენტები, მე მაინც, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილად ვიგრძენ ჩემი თავი. სწყენიდა, რომ გამოვსარჩლებოდი იმათ, ვის წრისაგან ასე უსაფუძვლოდ ვიყავ გამორიცხული, მამატებდა სიცხარეს და ნელ-ნელა მეკარგებოდა თავ-დაჭერილი გულგრილობა.

— ძალიან შემცდარი ბრძანდებით, თუ გგონიათ, რომ გამოსაწირავი ვარ ჩემს ტოლ-ამხანაგობაში! მეც სწორედ იმ აზრის და რწმუნების კაცი გახლავარ, რისაც სხვა სტუდენტები არიან, მაგრამ ნეტა ვინ მოგახსენათ, საიდამ შეიტყვეთ, ვითომც ჩვენ აღარაფერი გვწამდეს?... ჩვენ ბევრი რამ გვრწამს და, თუ ჩვენი მრწამსი თქვენსას არა ჰგავს, რათ გგონიათ, რომ ჩვენა ვართ მტყუანი! სულ ტყუილია, ნუ გჯერათ, ვიღაცას მოუჭორავს თქვენთვის, ჩემო თორნიკე: ერთიცა გვწამს, მეორეც... მეათეც...

— არა, მე ისე ვამბობ... ახლანდელი ახალგაზდობა ხომ მაინც ნამეტანს შვრება! ვინ ამბობს... რატომ არა, შეიძლება, კაცს გულში ბევრი რამ გქონდეს, მაგრამ გამოხვიდე ქუჩაში და იყვირო: „არიქა, გამიგონეთ, მე ეს მინდაო“, აბა რა ჭკუაა! აი ახლა მე... შენ გგონია, მე-კი ძალიან მიყვარს ჩემი დიდ-ყურა უფროსი... ისე უცხონდა იმას გვერდები! . მაგრამ ერთი შემხედე, როცა შევხდები, რა ტკბილად გავუცინებ, რა თავაზიანად და მოწიწებით მოვეპყრობი თავს..- რატომ არა? დიაღაც! რათ ვიზამ იმას, რაც მაწყენს, რაც სხვას არ ექნას. . სულელი ხომ არა ვარ! თქვენ აგიჩემებიათ რაღაც კონსტიტუციაო, სთქვა დაბალის ხმით თორნიკემ, მიიხედ-მოიხედა და განაგრძო ლაპარაკი კიდევ უფრო დამდაბლებულის ხმით: მე მაგას არა ვჯერდები, მე გულში, ღმერთმანი, რესპუბლიკანტი ვარ...

სთქვა ეს და შემომხედა. იმისი სახე და თვალები ცხადად ამბობდა: გეყოფა, თუ არაო! ხომ გაგაშტერეო, თუ ბიჭი ვარ!

— ასე, ჩემო ბატონო, მეც ბევრი მაქვს გულში, მაგრამ საქვეყნოდ იმის თქმა, რაც გულშია, რომელი სიბრძნეა? ისე ღმერთმა ნუ გამოასულელოს თორნიკე ფაშვაძე, რომ ეს ჰქნას!..

მე ახლა სულაც აღარ ვცხარობდი, დამშვიდებით ვუგდებდი ყურს თორნიკეს ფილოსოფიას და მეცინებოდა გუნებაში. ნეტავი ვინ ვის ატყუებდა? ვუგდებდი ყურს და კარგად ვერ გამეგო, რა ემართება დღეს ჩემს თორნიკეს, რათ მომიყვა-მეთქი ამ წილადობილას, რა საგანი აქვს იმის დიპლომატიურს მუსაიფს!..

გადავსწყვიტე, გაჩუმებულვიყავ და მევგდო ყური.

— აი, ბატონო,—დაიწყო ისევ თორნიკემ, როცა დაინახა, რომ მე გაჩუმებული ვუსმენ, და ეს გაჩუმება თავისის აზრების ჩემზე მოღებულს შთაბეჭდილებას მიაწერა. იმის სახეზე კმაყოფილება გამოიხატა.

— აი, ბატონო,—რაღა შორს წავიდეთ!—ერთს მაგალითს გეტყვი, რომელიც მე შემემთხვა და რომელიც დაგიმტკიცებს, რომ პოლიტიკაში გარევა არასოდეს ხეირს არ დააყრის კაცს. არა, თუ ძმა იყო, პოლიტიკა რა ჩვენი საქმეა: ჩვენი კუჭის საქმე ვერ გაგვირიგებია! იყავი ყველამ შენს ქერქში, შენი საქმე აკეთე შენთვის პატიოსნად, როგორც რიგი და წესია, და ნუ ერევი იქ, საცა შენ არავინ გეკითხება. ვზივართ ერთხელ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მე, განსვენებული გოჯასპირ მოხელიძე, რომელიც იმ დროს აქ მასწავლებლად იყო, და ივან პეტროვიჩი კაპუსტა,—ღმერთმა აცხო-

ში მოუპოვებია: 1) „სწავლა", ვითარ ჰმართებს მოძღვარს სწავლება მოწაფისა; 2) „საქრისტიანო მოძღვრება", რომში დაბეჭდილი 1733 წელსა; 3) „დავითნი", მეორე წიგნი, დაბეჭდილი ქართულს ენაზე, მხედრულად 1711 წელსა, ვახტანგ მეფის სურათით; 4) „დავითნი", ხუცურად ნაბეჭდი მესამედ 1712 წელსა, აგრეთვე ვახტანგ მეფის სურათით; 5) სამღვდელოთა წმინდა კრებანი და 6) კარაბადინი (არა სრული).

*** სოფ. ველისციხე (სიღნაღის მაზრა): ველისციხეში დიდ-ძალი სომხობა სახლობს, ასე რომ ქართველობას შესამჩნევად აღემატება. ამიტომაც სომეხთა ჩვეულებამ ქართველებშიაც ფეხი გაიდგა. მაგალითად, ქართველები თავიანთ უქმეების გარდა სომხების უქმეებსა და მარხვასაც ინახავდნენ. ამ გარემოებას ყურადღება ათხოვა აქაურმა მღვდელმა, ბლაღოჩინმა მ. ხარიტონოვმა, რომელმაც ქართველებს ჩააგონა, რომ სარწმუნოებისამებრ სრულიად საკმაოა საკუთარის უქმეებისა და მარხვის შენახვაო.

ველისციხელები ძალიან ემადლიერებიან მამა ხარიტონოვს, რომელიც შეძლებისადა გვარად ხელს უწყობს აქაურს სკოლას.

*** სოფ. სტეფან-წმინდიდგან გვწერენ, რომ აქ ყვავილი დღით-დღე უფრო და უფრო ძლიერდებაო. ამას წინად, როცა ყვავილმა პირველად იჩინა თავი, ამ სენისაგან მოკვდა 3 კაცი და ავად გახდა 20. ეხლა-კი სტეფან-წმინდა დაათვალიერა ამცრელმა გ. კობაიძემ. ამის ანგარიშით ამ ხანებში გარდაცვლილა 11 სული და ავად გამხდარა 60-მდე. ამ ჟამად აქ არის მაზრის ექიმი ბ-ნი იულიცკი, რომელიც სცდილობს სალებს მაინც აუცრას ყვავილი და ამით გადაარჩინოს საშიშს სენს, მაგრამ ზოგიერთი უარზე სდგას, რადგანაც აცრა ძალიან ეუცხოებათ და ჰფიქრობენ, რომ აცრა ყვავილისაგან ვერ გვიშველისო.

*** გაზეთი „კასპიი" გვაუწყებს, რომ წელს ბაქოში კახეთიდგან დიდძალი კახური ღვინო ჩამოიტანესო.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბები)

ცხელა!.. ცხელა აღმა, დაღმა, უკუღმა, წაღმა და, თუ გინდათ, გვერდულმაც მზე თან-და-თან ზემოდ და ზემოდ იწევს, გაჭერს, გაცხუნებს, თითქოს საცაა ცხვირზედაც წამოგასკუპდებაო, და გამორეტიანებულივით დადიხარ. დარბიხარ ქუჩებში თავ-აუღებლივ, არც აქეთ იხედები, არც იქით, ვისაც „გამარჯობა" უნდა უთხრა, „მშვიდობით" ეუბნები, ვისაც „მშვიდობით"—„გამარჯობას". განა საქმე გაჩქარებს რამე და იმას დაუბნევიხარ? არა, არ შეგჭამა კატამ, ცხელა, ბატონო, და ის არის!.. სულ ის გინდა, რომ ფარსიღას ტიკივით მწვანეზე იყო წამოტორიაკებული და სთვლემდე, ხან ერთს გვერდზედ ამოუშვა სვრინი და ხან მეორეზედ. სიცხისაგან გამორეტიანებულს ტვინის კოლოფში ფიქრისა და აზრის ნატამალიც ვერ დაგიყენებია, ვერა და ვერა, ყველაფერი გაგირბის იქ, სადაც

კოჭორის სიო გულსა აგრილებს!..

ასრე უფიქრ-უაზრო ადამიანი მეტად მოიცხოვლებს, ადამიანურს ნიშან-წყალსა ჰკარგავს და გაოფლიანებულის ბაგეებით მხოლოდ იმას-ღა ჰროშავს, რომ ყინულ-წყალი... მოთალი... გაციებული კიტრები...

მე, ჩემო პატივცემულო მკითხველო, იმ თავითვე იმ აზრისა ვიყავ და არც ეხლა შემიცვლია ეს აზრი—ან-კი რა საკადრისია აზრის შეცვლა,—რომ ქვეყანა-კი არა ტრიალებს, როგორც უკვიათ გალილეი ამტკიცებდა, არამედ უძრავად ხარის რქაზედ არის გაჩერებული და აკუნტია შეუძლელად, შეუცვლელად. თუ დრო-გამოშვებით მიწის-ძვრა მოხდება ხოლმე, ეგ იმიტომ-რომ ხარს ან ბუზანკალი და ან სხვა რამ მწერი მიუტევს, ცხვირში შეუჩიჩხვინებს და კუდს გააქნევინებს, დააფრუსტუნებინებს, ალაგიდგან დასძრავს. თორემ გაგონილა, ტრიალებსო! არა, რა ეშმაკი და ქაჯი ატრიალებს, რატომ არ იტყვიან?!.

ეხლაც, ამ ცხრა თვალს მზეს რომ ვუყურებ, თან-და-თან ვიჯერებ, რომ ტყუილია ის, მეცნიერებისაგან ვითომ და უკვე ჭეშმარიტებად აღიარებული, ამბავი, რომ ჩვენნი მამა პაპანი უვიცნი იყვნენ, გაუნათლებელნი, ნადირნი, კაცის მჭამელნი და ჩვენ-კი უფრო სრულნი და უნაკლულონი ვართ, განათლებულნი, კაცთ-მოყვარენი, განსწავლულნი, ბრძენნი და მეცნიერნი, ხოლო თუ მაინცა და მაინც ხშირად სისულელის საზღვარზე გადავბოტავთ ხოლმე, ჩვენნი მომავალნი-კი უეჭველად აცილებულნი იქმნებიან ამ ნაკლს, რადგან კაცობრიობა დღე-დღეზედ უფრო წინ მიდის, სასწავლებლები მრავლდება, მეცნიერება უფრო ფრთებს ისხამს, და სხვანი და სხვანიო..

საკვირველია, რომ ხშირად ძალიან ჭკვიანნი კაცნიც-კი სულ უბრალო რასმეს ვერ შენიშნავენ ხოლმე და ამიტომ იმას, რაც პირველად აქვსთ ნათქვამი, მეორეზედ უარ-ჰყოფენ. მე მგონია და, მართლა მგონია-კი არა, დარწმუნებულიცა ვარ, რომ კაცობრიობის წინ წაწევა და უკან დახევა სულ სიცხეზე არის დამოკიდებული და აი რად. უკანასკნელს დროს მეცნიერებამ აღიარა, რომ მზე თან და-თან სითბოსა ჰკარგავს, ნელდება და შეიძლება ისეთი დროც დადგეს, როდესაც ცივს პლანეტად გარდაიქცევაო. ამასთან შენიშნულია ისიც, რომ დედამიწაც, თავისის მხრივ, სიმხურვალეს იკლებს და ბოლოს სულ ყინულად გადასხალასდება: მცენარენი ვეღარ იხეირებენ, ადამიანიშვილი ყინულად შეიქმნება და, არა თუ მარტო ადამიანიშვილი, ქვა, კლდე, ღრე, ცხოველი, ნადირი,—სულ ყველაფერიო.

რაღა თქმა უნდა, მაშინ, როცა ჩვენი ნადირი და კაცის მჭამელი მამა-პაპა სცხოვრობდა ამ ქვეყნად, მზესაცა და დედამიწასაც ძალიან დიდი სიმხურვალე და სიცხოველე ექმნებოდა. თუ ეხლა, რამდენისამე ათის საუკუნის შემდეგ, სიცხისაგან ისე ვართ გამოტვინებული, რომ ფიქრისა და აზრის ნატამალიც-კი გაგვირბის თავიდგან, წარმოიდგინეთ, მაშინ რაღა უნდა ყოფილიყო. სიცხისაგან კაცის ჭამა-კი არა, ისიც საკვირველია, თავიანთი თავები თითონვე როგორ არ ამოიჭამეს! მე მგონია, რომ თუ მართლა კაცობრიობა წინ მიდის და, ზოგიერთისათვის ქუდბედსავით თან დაყოლილს, სისულელეს შორდება, ეგ იმიტომ-რომ მზე და ქვეყანა უფრო-და-უფრო ნელდება, ადამიანს სიცხე ისე აღარ არეტიანებს და არც აზრი და ფიქრი გაურბის თავიდგან.

**

სწორედ ამავე სიცხის გავლენით აიხსნება, ვგონებ, ახირებული საქციელი, როგორიც ჩაიდინეს ამას წინად ქუთაისის ქალაქის გამგეთ. საქმე იმაში გახლავსთ, ჩემო მკითხველო, რომ სიცხემ მრავლის უმრავლესად გააჩინა ბუზები და... ცოფიანი ძაღლები. შენს დღეში შენის სახლის ჭიშკარიდგან გარეთ ფეხი რომ არ გაგედგას, წამოგეპარება საიდგანღაც უშველებელი ქოფაკი, გეცემა ყრონჭში და... ოდესაში ამოგიკრავენ თავსა! ასე რომ, ამ სიცხის წყალობით, კაცმა ნამდვილად და დაჭეშმარიტებით არ იცის, ხვალ რა მოელის და ზეგ რა ასეთი უცაბედი საქმე დაემართათ სამს გურულს, რომელნიც, ვინ იცის, იქნება, „ქუთაისშიდაც" არ ყოფილიყვნენ, მაგრამ დაგლიჯა ცოფიანმა ძაღლმა და ოდესაში გაარონიეს სულ დრიგინ-დრიგინით.

ხოლო, ღმერთმა დღეგრძელ ჰყოს პასტერი, იმის წყალობით აღარც ცოფის შიში გვაქვს: წახვალ, ბატონო, მიიველ-მოიველი, დუნიას დაათვალიერებ, გასინჯავ სიგრძე-სიგანეზე და დაბრუნდები არხეინად. ცოფი არსად საშიში არ არის, არსად... ქუთაისს გარდა.

ცუდი საქმე დაგემართება, მკითხველო, თუ,—ზენაარმა აგაშოროს!—ცოფიანი ძაღლი გეტაკა კანჭში ქუთაისს; ოდესაში-კი არა, მგონი იმდენი გროშებიც ვერ იშოვნო, რომ ეტლით შინ მიხვიდე, თუ ქუჩაზე დაგემართა სადმე ასეთი უბედურება.

ასე მოუვიდა სწორედ ბაბოსაძის ოჯახობასაც. წარსულს თვეს მამას, დედას და შვილს ცოფიანი ძაღლი შეუვარდა ეზოში და სამივე დაჰკბინა. დაკბენილებმა მიჰმართეს თურმე ქუთაისის ქალაქის გამგეთ და ამ გამგეთაც, ხანგრძლივის ბჭობისა და რჩევის შემდეგ, ერთი თუმანი მისცეს და ამით მოიშორეს კარებზედ მომდგარი მათხოვრები. ასეთ აგრე ხელ-მოკლედ რად მოიქცნენო?—იკითხავს მკითხველი:—განა არ იცოდნენ, რომ ერთის თუმნით სენს მალამო არ დაედებოდა; რომ, თუ არ ოდესაში წასვლით, სხვა მხრივ ვერაფრით განიკურნავდნენ თავსა? ან-და გურულების მაგალითისათვის მაინც წაებაძნათ, რომელთაც ფული შეაგროვეს და თანამემამულენი თავიანთის ხარჯით გაჰგზავნეს ოდესაში, პასტერისეურის მეთოდით ცოფის ასაცრელადაო?

მაგრამ განა ქუთაისის ქალაქის გამგენი ჰფიქრობენ და, ან რა ფიქრი შეიძლება ამ სიცხეში!? რის პასტერი, რა ცოფი, რომელი ოდესა, თქვენს მზეს, როცა სიცხე გაჭერს, გაცხუნებს, ხვირთქლს გადენს, გარეტიანებს. შემოდგომა და სიგრილე რომ ყოფილიყო, მიჰხვდებოდნენ, რომ თუმნით სულს ვერ აცხონებდნენ და რომ დაკბენილები ამ ფულით ისევ სამის ცოფიან გოშიას ყიდვას თუ შეიძლებდნენ, რათა უფრო მეტად დაკბენინებინათ თავი და დასოცილიყვნენ, ხოლო ოდესაში-კი ვერა და ვერ წავიდოდნენ.

ამისთანა პაპანაქება სიცხეში განა ადამიანს ადამიანისაგან საწყენი და სატკენი უნდა ეწყინ-ეტკინოს და ან სალხინო უნდა ელხინოს, როცა, ბუნების მოვლენით გამოთაყვანებული, თითონვე აღიარებს თავისს თავზე, რომ

*Въ мысляхъ словно одурь,*
*Въ головѣ мигрень-о?!*

ორ-ანი

---

ნოს, ახლა ესეც მკვდარია. კაპუსტა ინჟინერი იყო, ფული მიეღო იმ დროს ბლომად ხაზინიდამ..

— ვიცი, მუშებს ჩამოაჩრებოდა და ხაზინას გაატყავებდა,—ჩავუმატე მე.

— ეჰ, შე დალოცვილო, შენ მაინც არ იშლი შენსას!—წყენით შემომძახა თორნიკემ: რა გვენაღვლება, რა გვეკითხება, ვის და როგორ ჩამორჩა! შენ თუ მაგრე სდიე ყველას კუდში და ჩაჰყევი ღდინში, ვერ მოსჭამ წუთი-სოფელს, სული ამოგხდება. ყველა ასე შოულობს ფულს, და ნეტა იმისთანა, როგორიც ივან პეტროვიჩი იყო, ჩემი კოწია გამოვიდოდეს, ბედნიერი კაცი ვიქნები! ჰო, იმას ვამბობდი, ფული მიიღო ბლომად... ჩავუჯექით ბანქოს კლუბში და, მოგეცა სიცოცხლე, იმ დღეს მე ფული მოვიგე! მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ გავათავეთ თამაში, ვახშამად მიგვიპატიჟა ივან პეტროვიჩმა და შამპანსკი გაგვიხსნა... ერთის სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, ყველა მშვენიერს გუნებაზე ვიყავით, ჩინებულად, ტბილად შევექცეოდით ვახშამს და შამპანსკის... მაგრამ ტუტუც-გოჯასპირს პოლიტიკა ძალიან უყვარდა და, როგორც-კი დალევდა, ეს ბისმარკი ვარო, ის ტიერიო, სულ თითებზე ჩამოგვითვლიდა... ბევრჯელ მითქვამს: გოჯასპირო, დაანებე თავი პოლიტიკას, პოლიტიკა ხეირს არ დაგაყრის, წაგიცდება როდისმე ფეხი და დაიღუპები-მეთქი. რა გრჯის, შენი ჭირიმე! ქე ხარ ჭკვიანი კაცი, ჩინიცა გაქვს და სტანისლავაც... მაგრამ ვერ იქნა და ვერა.. ვერ მოვაშლევინე. ეს ის დრო იყო, როცა ნაპოლეონი და ბისმარკი წაიკიდა და შექნათ ერთი თავ-პირის მტვრევა. ზოგი ნაპოლეონს და ფრანცუზებს უდგებოდა, ზოგი ბისმარკს აქებდა და ზოგს გამბეტა მოსწონდა... ჩვენს გოჯასპირს ნაპოლეონი შესძულებოდა: ისე იგდებდა მასხარად, თითქო მამა მისის შვილი ყოფილიყო. რომ გაცხარდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და დაიწყო ყვირილი: არაო, არ იქნება, არ შევიწყნარებ, უთუოდ დამარცხდესო... უცებ გაჩნდა ერთი ვიღაც მოთრეული ფრანცუზი და, შენ ხარ ჩემი ბატონი, უვინჩილასავით აპილპილებული გამოესარჩლა ფრანცუზებს... შეიქნა ცხარე ლაპარაკი, ერთი ყვირილი, ერთი ალიაქოთი! ის ლაწირაკი ფრანცუზი რაღაც კამპანიის აგენტი ყოფილა თურმე, ქ—ში ჩამოსულა დროებით და იმ დროს კლუბში ისიც იქვე, ჩვენს გვერდით, მჯდარა ვიღაცა ვაჭრებთან ვახშმად. წახდა ჩვენი ტკბილი კამპანია, ისე წაგიხდა მტერი: ვახშამს გემო აღარ ჰქონდა და მუსაიფს მადა. ამას ვინღა სჩივის! ისე გაცხარდნენ, რომ თავი დაავიწყდათ... რა ჰქონდათ საჩხუბარი და გასაყოფელი, შენი ჭირიმე! იქამდის მივიდა საქმე, რომ იმ ბაყაყის ჭამია ფრანცუზმა აღარც აცხელა, აღარც აცივა და პირდაპირ გამოუცხადა გოჯასპირს: „თუ მამაცი ბძანდები, დუელში გიწვევ და ხვალვე გამოდიო"... ვითომ ფრანცუზები და ნაპოლეონი რათ გამილანძღეო!.. გოჯასპირს თავ-ზარი დაეცა... ვახშამი და შამპანსკი ვილას აგონდება, ყველაფერი ჩაგვეშხამა. ისე მოსწყდა წელი საწყალს გოჯასპირს, რომ ენა ჩაუვარდა, სიტყვა ველარ ამოიღო და ველარაფერი ვერ მოახერხა. შევხედე, საქმე ცუდად იყო, და ვსთქვი, ერთმა ფრანცუზმა როგორ უნდა გვაჯობოს-მეთქი... დასტურ, ასე სასაცილოდ როგორ უნდა აგვიგდოს, რომ თავი დავაჯაბნებინოთ?.. ვიფიქრე, თუ მე მაგას ჩემებურად არ გავუსწორდი, ბიჭიც არა ვყოფილვარ-მეთქი... დავიმკლავე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ხელები, გავხტი წინ და ვუთხარი: „თუ გული გერჩის, რაღა ხვალ, დღესვე გამობძანდი. აი აგერ მე და აგერ შენ. გოჯასპირს თვალები სტკივა, ხნიერი კაცია, რა ედუელება, და გთხოვ, აი, ცოტა იქით... დერეფანში გამომყევი-მეთქი..."

რომ გამოვიდა დერეფანში, კიბესთან,—ვსტაცე ხელი და... ერთი, თუ ორი... ასეთი მუჯლუგუნები ვკარი, რომ სულ რიხინ-რიხინით ჩაგორდა ძირს. ერთი იქაც ამოვკარი შენი მოწონებული პანღური და გავაგდე კარში. „აი, ჩემი დუელი ეს არის-მეთქი"—მივატანე უკან და მივუგდე კარები... როცა დავბრუნდი, მომილოცეს და მოვულოცე, რომ გადავარჩით ფათერაკს. ივან პეტროვიჩმა სულ: „Молодецъ, молодецъ-о!" მიძახა, ხელ-ახლად შამპანსკი მოითხოვა და სულ გათენებამდის ვიქეიფეთ. ფრანცუზი იმ ღამესვე გაიპარა ფოთს და მეორე დილას მისი ჭაჭანებაც აღარ იყო ჩვენს არე-მარეზე. აი, ჩემო ძმაო, პოლიტიკა რას გიზამს კაცს! იმ დღეს იქით, თავი რომ მოგჭრა, პოლიტიკაზე და მეტადრე ნაპოლეონზე სიტყვას ვერ გაუმხელდი გოჯასპირს...

გაათავა ამბავი თორნიკემ და შეისვენა. მე მაინც ვერ მიმხვდარიყავი, თუ რისთვის იცხელებს თავს თორნიკე. ცოტა ხანს უკან მან ისევ დაიწყო დაწყნარებულის კილოთი:

— აი, ასე გახლავსთ, ჩემო ბატონო. ახლა ისიც უნდა გითხრა, რომ ჩემი კოწია უთუოდ პეტერბურგში აპირობს წასვლას. აუჩემებია, თუ არ პეტერბურგს, სხვაგან ჩემი წასვლა არ იქნებაო..

— მერე, რა არის აქ ცუდი? თქვენ სად გინდათ წავიდეს!

— მე მგონია, ოდესაში უფრო სჯობია: უფრო კარგს ჰავას ამბობენ, უფრო ახლოა და... შიშიც უფრო ნაკლებია..

— რა შიში, რისი?..

— რა ვიცი, ეგება ჩემს კოწიასაც თვალი დაუდგეს, დააიწყდეს ჩემი და ქეთევანის სწავლა-დარიგება, აჰყვეს სხვების ფეხის ხმას...

მე აქ ვეღარ შევიკავე სიცილი და ერთი გულიანად გადავიხარხარე. იმის კოწიას კარგად ვიცნობდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის თავის გადია ვარდისახარისაგან მიღებულს სიბრძნეს ისე ვერ უღალატებდა, როგორც ძაღლი პატრონს.

— რას იცინი, განა პეტერბურგი საშიში არ არის, თუ? „სიფრთხილეს თავი არა სტკივა",—სჯობს, ფათერაკსა და მაცდურს ერიდო ადამიანი.

— გარწმუნებთ, რომ თქვენი კოწია ისეთი კაცი გამოვა, როგორც თქვენა გსურთ, და მას იმ მხრივ, რა მხრითაც თქვენა გაქვსთ შიში, ისე არ აწყენს პეტერბურგი, როგორც მე რიონის წყალი.

— შენს პირს შაქარი! იამა თორნიკეს: მაგრამ შენ მაინც ურჩიე მამაშვილობას, რომ ოდესაში წავიდეს. ჭკვიანი კაცი ხარ, დაარწმუნე, დაგიჯერებს...

— თუ დამეკითხება ვინმე, მე შემიძლია მივსცე გაგებისდა გვარად ამხანაგური რჩევა, და ისე-კი, დაუკითხავად .. ხომ მოგეხსენებათ მეცამეტე გოჭის ამბავი!..

ძლივს მივხვდი, თუ რა პოლიტიკა ჰქონდა ჩვენს ბისმარკს.

გრ. უმწიფარიძე

# უცხოეთი

საფრანგეთი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რესპუბლიკის მთავრობამ სრულიად დაამარცხა ბულანჟე, რომელმაც სახელი სრულიად გაიტეხა თავისის წინადადებით კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე. ამის შემდეგ შესწყდა ლაპარაკი ბულანჟეზე და საფიქრებელი იყო, რომ საფრანგეთს დაუდგა დრო მოსვენებისაო. ეს საფიქრებელი იყო მით უფრო, რომ მმართებლობის მოწინააღმდეგე დასების თავი კაცი ყოვლის ფრით გამოუსადეგარი აღმოჩნდა მთავრობასთან საბრძოლველად. ბულანჟემ საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ იმისი და იმისის დასის პროგრამა სრულიად მოუფიქრებელი, უსაბუთო და უაზროა, და, მაშასადამე, შეუწყნარებელიც არის. ეგონათ, საფიქრებელი იყო, რომ საფრანგეთი ამ ამბის შემდეგ ცოტად არიყოს დაისვენებდაო, მაგრამ ეს იმედი ტყუილი გამოდგა, რადგან თვითონ ბულანჟემ პირველის დამარცხების შემდეგ შეიტანა წინადადება მასზედ, რომ დათხოვნილ იქმნას დეპუტატთა პალატაო. ეს წინადადებაც უარ-ყოფილ იქმნა ხმის უმეტესობით და დიდი შეტაკება მოხდა ბულანჟისა და მმართებლობის წარმომადგენელთა შუა. საქმეიმათი დასრულდა, რომ ბულანჟე დუელში გამოითხოვა ფლოკე, როგორც დეპეშამ გვაცნობა.

ბულანჟე მძიმედ არის დაჭრილი. უეჭველია ეს ამბავი ტყუილ-უბრალოდ არ ჩაივლის და დიდს ლაპარაკსა და უსიამოვნებას გამოიწვევს ბულანჟეს მომხრეთა შორის, შესაძლოა, რომ დრომდე მიყურებული ბულანჟისტები კიდევ ერთხელ გაიმართონ წელში.

ამ ამბის გარდა ერთი კიდევ სხვა არა სასიამოვნო ამბავი მოუვიდა მმართებლობას. როგორც დეპეშამ გვაცნობა ამას წინად, პარიჟის პოლიციამ ერთს სტამბაში დაიჭირა გრაფ პარიჟელის მანიფესტი. ამ მანიფესტში გრაფი ეუბნება საფრანგეთს, რომ ერთად-ერთი ხსნა და შველა საფრანგეთის ერისათვის ისევ მონარქიაა და რომ რესპუბლიკა ვერაკითარს სიკეთეს მიანიჭებს საფრანგეთსაო. შემთხვევითი მთავრობაც ვერას უშველისო. ზოგიერთთა აზრით შემთხვევითის მთავრობის სახელ-წოდების ქვეშ უნდა იგულისხმონ ბულანჟეს დასი, რომელსაც იმედი ჰქონდა საფრანგეთის მთავრობის ხელში ჩაგდებისაო.

გრაფი პარიჟისა საკმაოდ ოსტატურად მოიქცა. გრაფმა ისეთი დრო აირჩია, როდესაც რესპუბლიკას დიდძალი მტერი და მოქიშპე ჰყავდა და როცა ბულანჟე და იმისი დასი დამარცხებული იყო. ალბად გრაფს ამის იმედი ჰქონდა, რომ იმ საზოგადოებში, რომელიც რესპუბლიკის მთავრობასაც არ ემადლიერება და ბულანჟეს იმედიც დაჰკარგა, მონარქიის წინ-წამოყენება უნაყოფოდ არ ჩაივლისო. რასაკვირველია, ეს იმედი ტყუილი იმედია, მაგრამ მოხსენებული ამბავი მაინც ჰმოწმობს, რომ ეს დრო გრაფს პარიჟელს განგებ აურჩევია.

დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ გერმანიის იმპერატორი მოვა რუსეთში ხელმწიფე იმპერატორის სანახავადაო. უეჭველია ვილჰელმის მისვლას რუსეთში დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა ექნება და შესამჩნევად დასწევს სასწორს პოლიტიკისას. ვილჰელმ მეორის გამეფებამდე რუსეთსა და გერმანიას შუა ისეთი განწყობილება სუფევდა, რომ საფრანგეთს რუსეთის მომხრეობის იმედი დაკარგული არა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ვილჰელმი გამეფდა, განწყობილება რუსეთსა და გერმანიას შუა მიმჯობინდა და ზოგიერთებს იმედი აქვთ, რომ ეს კარგი განწყობილება დიდხანს გასტანსო. უეჭველია, საფრანგეთს ეს ამბავი სასიამოვნოდ არ დარჩება, რადგანაც იგი მოასწავებს გერმანიასა, რუსეთსა და ავსტრიას შუა მეგობრულის განწყობილების დამკვიდრებას. ამას, რასაკვირველია, ის მოჰყვება, რომ საფრანგეთს მოსარჩლე და მეგობარი არ ეყოლება და, მაშასადამე, საფრანგეთი იძულებული იქნება რამდენისამე ხნით მაინც გულში ჩაიხვიოს ის გრძნობა და წადილი, რომელსაც დღემდე გულში ატარებს.

# წვრილი ამბები

ვიღაც ბლეკს განუზრახავს ნიაგარაზე გადასვლა თავის მიერ გამოგონილის ნავით. ნავი გადაჰკვრულია და დამაგრებულია.

— ს.-პეტერბურგში შემსვლელ კანდიდატთა შორის არის თურმე ახალგაზრდა, უმაწვილობაშივე მოყვანილი აფრიკელი ზანგი. ეს ზანგი ერთ შეძლებულ კაცთან ცხოვრობს. ამ კაცს თავისის ხარჯით სწავლა მიუცია და ზანგსაც მშვენიერი ნიჭი გამოუჩენია სწავლისა. ამის გამო ზანგს განუზრახავს უნივერსიტეტში შევიდეს, რადგან მათემატიკის შესწავლის დიდი სურვილი აქვს თურმე.

— ამას წინად ბერლინში თავი ჩამოიხრჩო ერთმა ხნიერმა არტისტმა-ქალმა. ამ ოცის წლის წინად ეს ქალი ერთის პროვინციალურის თეატრის დამამშვენებელი იყო თურმე. სამოციან წლების უკანასკნელს ხანს არტისტი-ქალი გაეცნო ერთს ღვინით მოვაჭრეს და ბოლოს მისთხოვდა. ათის წლის შემდეგ ქორწინებიდგან ქალის ქმარმა დაჰკარგა მთელი თავისი ქონება და დაიწყო დურგლობა, რომ თავისი ოჯახი ეცხოვრებინა როგორმე. ცოლის მძიმედ ავადმყოფობამ უცებად ვალებში ჩაჰგდო თურმე. ამ რამდენისამე წლის წინად ცოლ-ქმართ მოუკვდათ ერთი ვაჟიშვილი, რომლისაც დიდი და დიდი იმედი ჰქონდათ. ამ უბედურის შემთხვევის შემდეგ საცოდავმა ქალმა სმას მიჰყო თურმე ხელი და ისე დასნეულდა ამის გამო, რომ იძულებული გახდა საავადმყოფოში დაწოლილიყო. იქიდგან გამოსვლისას უფრო მეტად დაიწყო თურმე სმა და დასასრულ კარებში შერჭმულ ლურსმანზე ჩამოიხრჩო თავი. ჩამომხრჩვალს მაგრად შეკუმშულს ხელში ეჭირა გაზეთი, რომელშიაც რეცენზია იყო დაბეჭდილი იმის თაობაზედ და აქებდნენ; ისტაკზე-კი ცარიელი ბოთლი ეგდო.

— კოტბუსს ახლო მინდორზედ ერთი სკა თურმე, რომელზედაც იქაურნი მკვიდრნი დარწმუნებით გაიძახიან, რომ მოთილისმულიაო. იქაურს გლეხებს ეშინიათ ღამე გაუარონ ახლოს ამ სკას და ამბობენ, რომ სკე იფურთებნაო.

— აი ერთი საბუთი იმისი, რომ ქალებისათვის ქოლგები მალიან გარგისი და გამოსაყენებელია. ამას წინად რამდენიმე ბერლინელი მანდილოსანი ქალებითურთ წასულა ბილგორნში სასეირნოდ. დაღალულნი ჩამომსხდარან ტყის პირას და დასვენება დაუწყიათ. ამ დროს იმათ ახლო გაუვლია რამდენსამე უმაწვილს კაცს, რიგიანად ჩაცმულებს, ჩამომსხდარან ქალებს გვერდით და ხმა გაუციათ. რა-კი უნახავთ, რომ ყურადღებას არ გაქცევენო, უფრო ახლოს მისხდომიან და დაუწყიათ იმათის საჭმლის ჭამა. ქალებს პირველში ძალიან შერცხვენიათ, დაბნეულან, ხოლო შემდეგში ერთს იმათგანს სილა უთხლეშია უმაწვილის კაცისათვის. ამ სილას დანარჩენებიც გაუმხნევებია, შეიარაღებულა დედათ ლაშქარი ქოლგებით და ისე მიუხვევიათ დაუპატიჟებელი სტუმრები, რომ გაუქცევიათ. ერთს გაქცეულთაგანს ქუდი ბრძოლის ველზედვე დარჩენია.

— ცუდი საქმე დამართია ამას წინად ბელფორის ჯარის მე-14 რაზმის უფროსს, გენერალს ნეგრიეს. ამ კაცს სამოქალაქო წოდების ტანისამოსი ჩაუცვამს და წასულა სასაზღვრო სიმაგრეთა დასათვალიერებლად. მისულა ქალაქ „Petit Croix“-ში. დამოყვანის ჯარის-კაცს, რომელიც ეჭვით შესცქეროდა თურმე, ჯაშუში ეგონება, დაუპატიმრებია და წარუდგენია უფროსისათვის. აქ, რასაკვირველია, აღმოჩენილა, ჯარის-კაცის საუბედუროდ, რომ დაჭერილი, ჯაშუში-კი არა, გენერალია. ნეგრიე-კი, არამც თუ არ გასჯავრებია ჯარის-კაცსა, პირიქით, დაუსაჩუქრებია, რადგან მოსამსახურეთ კარგად ადევნებს თვალ-ყურსაო.

— რომში ახირებული და არა-ჩვეულებრივი ამბავი მომხდარა. რომის სასამართლოს სხდომის დროს ორს დამცველს ბრალდებულისას ჩხუბი მოსვლიათ და მიუყრდნიან ერთმანეთს ისეთის უწმაწურის ლექსებით, რომ სასამართლოს თავ-მჯდომარეს ორივესთვის დაუდინჯებია უბრძანებია და რისამე თქმაც აღუკრძალავს. ერთს მოჩხუბართაგანს, რომის გამოჩენილს ვექილს ვაზოლეტის, მკაცრი პასუხი გაუცია თავ-მჯდომარისათვის. ამის გამო თავ-მჯდომარეს განუზრახავს იქვე დაპატიმრება ვექილისა და დაუპატიმრებია კიდეც. რომის ვექილთა წოდებას საჩივარი შეუტანია სასამართლოს თავ-მჯდომარეზე იტალიის იუსტიციის მინისტრთან, რომ თავისს უფლებას გადააჭარბაო, და ამას გარდა, კიდევ ვექილს ვაზოლეტისაც თავისის მხრივ უჩივლია რომის უმთავრესს სასამართლოთა უწყებაში, Consiglio dell'Ordine“.

# გასართობი

არავის და არაფერს არ ეპყრობა ადამიანი ისე უსამართლოდ — არამც თუ უსამართლოდ, სასტიკად, ნადირსავით, — როგორც პურის მარცვალს. უწინარეს ყოვლისა მარცვალს მიწაში ჩაჭყლავენ ხოლმე. ამისთანა საქციელით აღშფოთებული ხორბალი წინააღმდეგობას აცხადებს და კვლავ ამოჭყოფს ხოლმე დედამიწაზედ თავსა მწვანე ბალახის სახით. როგორ იქცევიან ადამიანნი ამ შემთხვევაში? მზეში ჭკრუგავენ, არც ერთხელ არ შესთავაზებენ ხოლმე ქოლგას, მაშინაც-კი, როცა სწვიმს და ავი დარია. საბრალო ბალახი მეტის-მეტის სიცხით ყვითლდება. შეუბრალებელი ადამიანი ელის... ბალახი თავთავს გაიკეთებს და შემოვა თუ არა, მისცვივდებიან ხოლმე დიდის მრუდე დანებით და სჭრიან. დაჭრილს დაუწყებენ ხოლმე ზეგვას... უწყალოდ, რითიც-კი მოუხვდებათ, მძიმე ჭაჭებითაც-კი. საკვდილამდე მიღწეულ ნაცემს მარცვალს წისქვილის ქვებს შუა ჭყლეტენ და აქუცმაცებენ. ნამდვილი ჯალათები არიან! მაგრამ ამით ტანჯვა ჯერ კიდევ არ თავდება. დაქუცმაცებულს მარცვალს ურევენ წყალში, ზელავენ, შემდეგ თონეში აკრავენ და სწვავენ. დასასრულ ყოვლისა იღებენ ამ დაჭრილს, ნაცემს, დაზელილს, დამწვარს მარცვალს და კვლავ სჭრიან, უმეტესად ბლაგვისა და ჩლუნგის დანებით... ბოლოს, ყველა ამ ტანჯვა-წამების შემდეგ, ადამიანიშვილი სთანთქავს თავისს მსხვერპლსა!.. აქ-კი წერტილს დავსვამ და შორს აღარ წავალ... დეე ყველა ადამიანი დაეკითხოს თავისს სინიდისს, სამართლიანად წარმოიდგინოს, თუ რა უდიერადაც ექცევა პურის მარცვალს, და შერცხვება.

**

ამას წინად პარიჟში შემდეგი სასაცილო ამბავი მომხდარა. ვიღაც ქალბატონს, სულ ცოტა ხნის გათხოვებულს ვაჭარზე, რაკი დარწმუნებულა ქორწილის შემდეგ, რომ ქმარი საჩემო არ შემხვდაო, გადაუწყვეტია ქმრის თავ-დანებება და ერთის ნოტარის შეყვარება. ერთს მშვენიერს დღეს დაბრუნებულა ვაჭარი სახლში, მაგრამ მეუღლე შინ არ დახვედრია და უპოვნია მხოლოდ მის მიერ დატოვებული ბარათი შესაბამის შინაარსით. რამდენისამე ხნის შემდეგ თავდანებებულს ქმარს გაუგია, რომ ჩემი ცოლი თავისის მოტრფიალეთურთ პარიჟში სცხოვრობსო. წასულა, უპოვნია, ბინა შეუტყვია, დაუძახნია პოლიცია, რომ წავიდეთ, მინდა დავამტკიცო ცოლის ღალატიო. პოლიციას დაურაკუნებია კარები და, სხვა რომ არავის გაუღია, გატეხავთ სდომებიათ, მაგრამ ამ დროს გაუღებულა კარები და დირეზედ გამომდგარა ვაჭრის ცოლი. მოუძებნიათ მთელი ოთახი, მაგრამ საეჭვო ვერა უპოვნიათ რა. უმანკო ქალი ამაყად გამოიყურებოდა და გაცრუებულს ქმარსაც ის იყო უნდოდა ფეხებში ჩავარდნოდა ცოლისა და შენდობა მოეთხოვნა, როცა უეცრად პოლიციელმა შეამჩნია თურმე მოხერხებულად მიფარებული შკაფი. მაშინვე მოითხოვეს გასაღები, შკაფიც გააღეს, მაგრამ ფალას-ფულსეულობის მეტი ვერა იპოვნეს-რა. ამ ფალას-ფულსში პოლიციელს დაუნახავს ნახშირის ტომარა და თუმცა უმანკოს ქალს უფიცნია, რომ შეშებია შიგაო, პოლიციელს მაინც ძალა დაუტანებია, უნდა გავსინჯოთო. ქალიც ძალიან უნებურად დათანხმებულა გაესინჯავსთ.. და შიგ აღმოჩენილა ოთხად მოკეცილი და მოხრილი ნოტარი!..

**

წარსულს კვირას პარიჟში გაურჩევიათ საქმე მეუღლეთა ლეშევენთა. ქმარს ის ბრალი ედებოდა თურმე, რომ ცოლს უდიერად ექცევა და სცემსო. სასამართლოს გამოძიებიდგან სჩანს, რომ ამ საქმემდე ეს ცოლ-ქმარნი განქორწინებას სცდილობდნენო. სასამართლოში ბრალდებულს უთქვამს, რომ მე მხოლოდ თავს ვიფარავდი, როცა ჩემი მეუღლე დანით ხელში მეტაკა და მოკვლას მიპირებდაო. ცოლი კი ამტკიცებდა თურმე, რომ ჩემი ქმარი, ცემის გარდა, კიდევ სხვა ათას გვარს სისაძაგლეს სჩადიოდა ჩემდა მომართო. ამავე დროს სასამართლოს მიუღია ხელ-მოუწერელი ბარათი, შეცდომებით სავსე, რომელშიაც ლეშევენის კერძო, შინაურს ცხოვრებაზედ ბევრი შემაძრწუნებელი ამბები იყო თურმე მოთხრობილი. სასამართლო მეტად გაჭირვებული ყოფილა, რადგან თვალ-საჩინო და აშკარა საბუთი არა ჰქონია-რა იმისა, რომ ქმარი ცოლსა სცემდაო. უეცრად დამნაშავის ვექილმა სთხოვა თურმე სასამართლოს, რომ აბა ეგ წერილი უკარნახეთ ქ-ნს ლეშევენს და დააწერინეთო. სასამართლოს შეუწყნარებია დამცველის თხოვნა და ქ-ნს ლეშევენს დაუწყია წერა. ორის სტრიქონის დაწერაც არ დაუსრულებია ქალსა, როცა ვექილს ბრალდებულისას გამოურთმევია დაწერილი და უჩვენებია მოსამართლეებისათვის. აღმოჩენილა, რომ ქ-ნს ლეშევენს თავისს ნაწერში სწორედ ისეთივე შეცდომები გაჰპარვია, როგორიც უსახელოდ მოწერილს წერილში ყოფილა. ამ გვარად თვალ-საჩინოდ დაუმტკიცებიათ სასამართლოში, რომ წერილი მომჩივნის შეთხზულიაო. ამის წყალობით მოხერხებულს ვექილს გაუმართლებია დამნაშავე და საზოგადოებას დიდის მოწონებით დაუწყია ტაშ-ტაში მახვილი დამცველისათვის.

# გამოსადეგი ცნობა

დღეს ქართულს ენაზედ არავითარი საბუხჰალტრო სახელმძღვანელო წიგნები არ არსებობს და ბუხჰალტერია აქ ერთია თუ იცის, ისიც კარგად. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენში ალებ-მიცემობა თან-და-თან ძლიერდება და ხშირდება; ალებ-მიცემობისათვის-კი სარგებლის ანგარიშის ცოდნა აუცილებელი საგანია. ამიტომაც ურიგო არ იქნება გაზეთში საყოველთაო საცოდნელად და სახმარებლად დაიბეჭდოს ეს მცირე, მხოლოდ ადვილი, შეუცდომელი და ყველგან ხმარებული %/% ანგარიშის ტაბელი.

სიტყვის „სარგებლის“ მაგიერ საზოგადოდ შემოღებულია სახმარებლად „პროცენტი“ (Procentum). ეს სიტყვა ნიშნავს ქართულად ასზე, ე. ი. მთელი რიცხვი გაიყოფება ასად და თვითოეული მეასედი შეადგენს ალებულის რიცხვის პროცენტს. პროცენტი დაიხატება ასე — %. ჩვენში ჩვეულებად მიღებულია ფულის გასესხება ანუ ვალად აღება სარგებლით შაურიდგან აბაზამდე, ე. ი. 6% — 24% მდე, თუმცა-კი ამაზე ამეტებული პროცენტი უკანონოა. ერთი შაურის წლიური სარგებელი დაიხატება ამ გვარად — 6%, შაურ ნახევარი — 9%, ორი შაური — 12%, ორ შაურ-ნახევარი — 15%, სამი შაური — 18%, სამ შაურ-ნახევარი — 21% და აბაზი — 24%.

წლიურის პროცენტის გამოსაანგარიშებლად უნდა გაიყოს თავნი ფული ასად — მივიღებთ 1%, ამას გავამრავლებთ საძიებელის %-ის რიცხვზე და სწორედ იმ სარგებლის ჯამი შესდგება. მაგალითებრ, გასესხებულია 500 მანეთი. რა შესდგება ამისი სარგებელი შაურობაზე (6%)? $500 : 100 = 5 \times 6 = 30$ მან. ეს 30 მან. არის 500 მანეთის წლიური სარგებელი შაურობაზე. ესევე აღირიცხება სხვა წლიური სარგებელიც.

რამდენისამე თვის სარგებლის გამოსაანგარიშებლად იხმარება შემდეგი საშუალება: თავნს გავამრავლებთ ჯერ პროცენტისა და მერე თვეთა რიცხვზედ და მიღებულს რიცხვს გავყოფთ თორმეტად. მაგალითებრ: უნდა შევიტყოთ 100 მანეთის შაურ ნახევრობაზე (9%) გაცემული ფულის 10 თვის სარგებელი. ამისათვის ჩვენ ვმოქმედობთ ამ გვარად, $100 \times 9 = 900 \times 10 = 9{,}000 : 12 = 750$ კაპ., ე. ი. 7 მან. და 50 კაპ.

რამდენისამე დღის % გასაგებლად იხმარება შემდეგი რიგი: თავნი უნდა გამრავლდეს დღეთა რიცხვით და გაიყოს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180-ზე | თუ | ალებულია | | 2% |
| 120 | „ | „ | „ | 3% |
| 90 | „ | „ | „ | 4% |
| 72 | „ | „ | „ | 5% |
| 60 | „ | „ | „ | 6% |
| 45 | „ | „ | „ | 8% |
| 40 | „ | „ | „ | 9% |
| 36 | „ | „ | „ | 10% |
| 30 | „ | „ | „ | 12% |
| 24 | „ | „ | „ | 15% |
| 20 | „ | „ | „ | 18% |
| 15 | „ | „ | „ | 24%. |

მაგ., რას მოგვცემს 1,200 მანეთი 24 დღეში 6 პროცენტობაზე? უნდა $1{,}200 \times 24 = 28{,}800 : 60 = 4{,}80$ კაპ. (უკანასკნელი რიცხვი მუდამ კაპეიკებად გამოვა); რა გვერგება 800 მან. 69 დღის სარგებელი აბა-

ზობაზე, ანუ 24%? 800×69=155,200:15=36,80 კაპ.

7%, 11% და 21% გამოსაანგარიშებლად თავნი უნდა გამრავლდეს დღეთა და პროცენტთა რიცხვზედ და გაიყოს 360-ზე. მაგ., რა გვერგება 9,000 მან. 16 დღისა 7%-ობაზე? 9,000×16=144,000×7=1,008,000:360=28,00 კაპ.; ან რა უნდა გარდავიხადოთ 1,600 მან. 41 დღისა 11%-ობაზე? 1,600×41=65,600×11=721,600:360=20,04$^1/_9$ კაპ.; ან არა-და რას შეადგენს 1,000 მანათზე 85 დღის სარგებელი 21%-ობაზე? 1,000×85=85,000×21=1,785,000:360=49,58$^1/_3$ კაპ.

ზემოხსენებული ტაბელი, როგორც ნაცადი და ფრიად სადგილო და შეუცდომელი სახმარებელი %% ანგარიშისათვის, ყოველგან მიღებულია სახელმძღვანელოდ.

ზაქარია ჯინჭველაძე

---

# დეპეშა

2 ივლისი

**პეტერბურგი.** ბირჟა: ტფილისის სადგილ მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებში მსყიდველები იძლევიან 98$^1/_4$ მ., ქუთაისისაში—98 მ. და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში-კი—82$^1/_2$ მან.

**კრონშტადტი.** გერმანიის ესკადრას მოელიან 7-ს ივლისისათვის.

**კილი.** გერმანიის იმპერატორი წავა აქედგან ზღვით იახტით, რომელსაც „ჰოგენცოლერნი“ ჰქვიან, დილის 11-ს საათზე.

3 ივლისი

**პეტერბურგი.** გაზეთი „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ გერმანიის იმპერატორს სხვათა შორის მიეგებებიან საპრაქტიკო და შხერის ესკადრის გემები და აგრეთვე სანაოსნო სასწავლებლის გემებიცა. ყველა გემი ხვალ თავს მოიყრის კრონშტადტის რეიდში. იმპერატორს ეახლებიან გენერალ-ადიუტანტი ამალის გლინკა-მავრინი, იმის უმაღლესობის ამალის გენერალ-მაიორი თავადი ორქნოვი და ფლიგელ-ადიუტანტი გრაფ შუვალოვი. იმპერატორი ვილჰელმი დაბინავდება პეტერგოფის დიდს სასახლეში. ამბობენ, რომ ვილჰელმი რუსეთში დაჰყოფს ოთხს დღესაო.

**პარიჟი.** ეროვნული დღესასწაული ჩვეულებრივის წესით გაატარეს. როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი ალლუმზე დასასწრებლად მიდიოდა, ზოგი იძახოდა: „კარნოს გაუმარჯოს!“ და ზოგიც ბულანჟეს დღეგრძელობას გაიძახოდა. როდესაც პრეზიდენტი ალლუმიდგან დაბრუნდა, ბულანჟეს მომხრეებმა გამართეს მანიფესტაციები. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. საღამოს ქალაქის ნადიმობაზე კარნომ წარმოსთქვა სიტყვა. ამ სიტყვის დედა-აზრი ის იყო, რომ აუცილებლად საჭიროა რესპუბლიკას გამოვესარჩლნეთ და ვემსახუროთო.

ბულანჟე საშიშს მდგომარეობაშია: სუნთქვა გაჭირებული აქვს. მაჯა-კი ჩვეულებრივად უცემს.

**ვენა.** აქაურს საიმპერატორო გვდელის სასახლეში დიდი მზადებაა გერმანიის იმპერატორის მისაღებად. იმპერატორს ენკენისთვეში მოელიან. გერმანიის იმპერატორს განზრახვა აქვს ინადიროს ავსტრიის იმპერატორთან და მემკვიდრე პრინცთან ერთად.

აქ ჩამოვიდა დედოფალი ნატალია. დედოფალს არ მიჰგებებია სერბიის ელჩი. სამაგიეროდ ვოგზალზე დიდძალი ხალხი დაჰხვდა, მეტადრე სლავიანები. ხალხმა დიდის თანაგრძნობით მიიღო დედოფალი.

**პარიჟი.** აქ ჩამოვიდა ჩერნოგორიის მთავარი.

ბულანჟე უკეთ არის, ციება შეუწყდა. დუელი ისე არ მომხდარა, როგორც გაზეთები მოგვითხრობენ: ფლოკე, როცა უკან დაიხია, კინალამ წაიქცა, და, როცა ზეზე წამოიწია, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია. ამ დროს ბულანჟეს უნდოდა გულში ხმალი დაეცა ფლოკესათვის, მაგრამ თითონვე ზედ წააწყდა ფლოკეს ხმალსა.

4 ივლისი

**პეტერბურგი.** გუშინ საღამოს მობძანდნენ პეტერბურგს ჩვენს ელჩად ბერლინში მყოფი გრაფი შუვალოვი და გერმანიის პეტერბურგელი ელჩი, გენერალი შვეინიცი.

„Кронштадтскій Вѣстникъ“-ს შეუტყვია, რომ საიმპერატორო იახტა „Царевна“ ალმასველეთისაკენ წასულა.

**მოსკოვი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული გუშინ საღამოს წაბძანდნენ პეტერბურგს.

**რიბინსკი.** წყალმა ვოლგაში იწყო კლება. სულ იყო მომატებული ათი ალაბი.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 43 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 168 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 271$^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 251$^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

5 დღე სამშაბათი. ღირსისა ათანასე ათონელისა. კათოლ. ფილომენისა. სომეხ. მეფე კონსტანტინესი და იმის დედის ელენესი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—გაუქმებულ იქმნა ბათუმის პორტო-ფრანკო, 1886 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—39, ჩადის 7—33. მთვარე 9 დღისაა.

6 დღე ოთხშაბათი. ღირსისა სისოსი. კათოლ. დომინიკისა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—32. მთვარე 10 დღისაა.

7 დღე ხუთშაბათი. ღირსისა თომასი და აკაკისა. კათოლ. წმ. ანგელოზ სა. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31. მთვარე 11 დღისაა.

8 დღე პარასკევი. წამება პროკოფისა. კათოლ. წმ. ქვრივის დედოფ. ელისაბედისა. სომეხ. ნახატონაჭი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—42, ჩადის 7—30. მთვარე 12 დღისაა.

9 დღე შაბათი. წამ. კირილესი. კათოლ. ეპ. კირილესავე. სომეხ. პოვნა წმ. გრიგოლ განმანათლებელის ნაწილთა. გახსნილება. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—43, ჩადის 7—20. მთვარე 13 დღისაა.

10 დღე კვირა. 45 წამებულთა ნიკოპოლეში. კათოლ. შვიდთა ძმათა წამებულთა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28. მთვარე 14 დღისაა.

11 დღე ორშაბათი. ევფემიისი. კათოლ. პაპა პია I-სა. სომეხ. წამ. ანტონინასი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე 15 დღისაა. დილის 6 საათზედ მთვარე დაბნელდება.

---

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 | » |
| „ 2 „ | 2$^1/_2$ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3$^1/_2$ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემზე.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

---

# განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

1) მომავალის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პანსიონში დანიშნულია ოთხი ვაკანსია ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ვისაც კენჭი ერგება ამ ვაკანსიებისა და წლოვანობის შესაფერს ეგზამენსაც დაიჭერს, მოსამზადებელს სკოლაში შემოსასვლელს, იგი მიღებულ იქმნება საზოგადოების სრულს ხარჯზე. კენჭი ჩამოეტარება მხოლოდ იმ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც ირიცხებიან ბანკის დამფუძნებლებად. ხსენებული ოთხი ვაკანსია სკოლის კომიტეტის მიერ განაწილებულია მაზრებს შორის ამ გვარად: ტფილისისა და დუშეთის მაზრებს ეკუთვნისთ ერთი ვაკანსია და დანარჩენები—სიღნაღისას, თელავისას და გორისას, თითო ვაკანსია.

2) ნახევარს ხარჯზე მიღებულ იქმნება ყველა მაზრების ღარიბ თავად-აზნაურთაგან ექვსი (6) ყმაწვილი, რომელნიც ვალდებულნი იქმნებიან შემოიტანონ წელიწადში ათ-ათი თუმანი—ხუთი შემოსვლისათანავე და ხუთიც იანვარში.

3) პანსიონერები მიიღებიან საკუთარს ხარჯზედაც და ამათ უნდა შემოიტანონ წელიწადში ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

4) საზოგადოდ სასწავლებელში შემომსვლელთათვის იქნება თავისუფალი ვაკანსია: პირველს განყოფილებაში 30 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში ხუთი (8 და 9 წლის ყმაწვ.), მესამეში ხუთი (9 და 10 წ ყმაწვილ.) და მეოთხეში 10 (10 და 11 წლის ყმაწ.) პირველს პროგიმნაზიულს კლასში ექვსი ვაკანსიაა და მეორეში 11. მესამე კლასში მსურველთათვის საკმაო რიცხვი აღმოჩნდება ვაკანსიებისა.

5) გარეთგან მოსიარულეთ შემოაქვსთ სწავლის ფასი წელიწადში თორმეტი მანათი იმავე წესით, როგორც პანსიონერები იხდიან ხარჯის ფულსა.

6) არც პანსიონში და არც გარედგან მოსიარულე ყმაწვილები მიღებულნი არ იქმნებიან, თუ მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ თანახმად ამ წლის „ივერიის“ ას ოც-და-მეექვსე ნომერში გამოცხადებულის პროგრამისა.

7) როგორც პანსიონში შემომსვლელმა, ისე გარედგან მოსიარულემაც, თუ იმისი მშობლები მუდამ ტფილისში არა სცხოვრობენ, თავდები უნდა მოიყვანოს ტფილისის მცხოვრებთაგანი, რომელსაც ხელ-წერილი ჩამოერთმევა, რომ იგი კისრულობს ყმაწვილის მშობლების მაგივრობას, სანამ ყმაწვილს მშობლები არა ჰყავს ქალაქში, და საჭიროების დროს გამოცხადდება კიდეც სასწავლებლის უფროსთან, რომ სასწავლებლის ყოველივე მოთხოვნილება შესახებ ყმაწვილისა დაუყოვნებლივ აასრულოს.

8) ვისაც სურს ყმაწვილების მიბარება გარედგან მოსიარულედ, ან პანსიონში, თხოვნა უნდა გამოჰგზავნოს 22 მარიამობისთვის რიცხვამდის ტფილისს, ინსპექტორის სახელზე, და თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის მოწმობა, ბ) მოწმობა თავად-აზნაურობისა, გ) სიღარიბის მოწმობა წინამძღოლისა (პანსიონში შემომსვლელთათვის) და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

9) მარიამობისთვის 22—26 იქმნება სიტყვიერი და ხელ-მეორე ეგზამენიები. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

10) ვისაც წარსულს წლებში ჰქონდა შემოტანილი თხოვნა და ვაკანსია არა ჰრგებია, იმან ხელ-ახალი თხოვნა უნდა შემოიტანოს წელს და, თუ მაშინ არ წარმოუდგენია ყველა ზემოხსენებული დოკუმენტები, ახლა უნდა წარმოადგინოს. (3—2)

---

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

# წიგნთ-საწყობში

**(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)**

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | ,, | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |

Дов. ценз. Тифлисъ, 4-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე